

ფრანც კაფკა • ამერიკა



ფრანს კაფკა

# ამერიკა

გერმანულიდან თარგმნა  
რუსუდან ღვინეფაძემ



სულაკაურის  
გამომცემლობა

**ფრანც კაფკა**  
ამერიკა  
რომანი

მთარგმნელი რუსუდან ღვინეფაძე  
რედაქტორი ნათია ნაფეტვარიძე  
ყდის დიზაინერი თამაზ ვარვარიძე  
ტექნიკური დიზაინერი თინათინ ბერბერაშვილი

ქართული გამოცემა © ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2017  
ყველა უფლება დაცულია.

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“  
დავით აღმაშენებლის 150, 0112 თბილისი  
ტელეფონი: 291 09 54, 291 11 65  
ელფოსტა: [info@sulakauri.ge](mailto:info@sulakauri.ge)

ISBN 978-9941-23-827-7

**Franz Kafka**  
AMERIKA  
A Novel

Translated by Rusudan Gvinepadse  
Georgian translation published by Sulakauri Publishing, 2017  
All rights reserved.

[www.sulakauri.ge](http://www.sulakauri.ge)

## ცენტლზარეში

თექვსმეტი წლის კარლ როსმანს შემფოთებულმა მშობლებმა ამერიკაში უკრეს თავი, რადგან მაცდურმა მოახლემ მისგან შვილი გააჩინა. როცა გემი უკვე შენელებული სვლით ნიუ-იორკის ნავსადგურში შევიდა, თავისუფლების ქალღმერთის ქანდაკება, შორიდანვე რომ შენიშნა, მის თვალწინ ერთბაშად გასხვიოსნდა. ზეალმართულ ხელში მახვილი ეპყრა და მის გარშემო თავისუფლების ნიავექარი ქროდა.

– რამსიმაღლეა! – ჩაილაპარაკა და ადგილზე გაშეშდა. ამასობაში მეზარეულთა მოზღვავეებულმა ნაკადმა თანდათან გემბანის მოაჯირთან მიიმწყვდია.

– აღარ აპირებთ ჩასვლას? – ჰკითხა მეზარეობისას გაცნობილმა ახალგაზრდამ, – როგორ არა, მოვდივარ, – სიცილით მიუგო კარლმა და საკუთარი ჯან-ლონით თავმომწონემ ჩემოდანი მარდად შემოიგდო მხარზე. ნაცნობს რომ გააყოლა თვალი, რომელიც ხელჯოხის ქნევა-ქნევით სხვა მეზარეობთან ერთად წინ მიიწედა, უეცრად გაახსენდა, რომ ქოლგა ქვემოთ დარჩენოდა. წამოენია და თავაზიანად სთხოვა, ცოტა ხნით ჩემოდანს მიმიხედო, რაც ახალგაზრდას დიდად არ ესიამოვნა. კარლმა კიდევ ერთხელ მოავლო თვალი იქაურობას, რათა ადგილი კარგად დაემახსოვრებინა და უკან გაბრუნდა. მისდა სავალალოდ, ქვედა გასასვლელი, რომელიც გზას საგრძნობლად შეუმოკლებდა, ჩაკეტილი დაუხვდა; ალბათ იმის გამო, რომ გემი უკვე ყველა მეზარეს დაეტოვებინა. ერთმანეთზე გადაბმული რამდენიმე კიბე სულმოუთქმელად აირბინა, მიხვეულ-მოხვეული დერეფნების გავლით ერთ ცარიელ ოთახში ამოყო თავი, რომელშიც მიტოვებული საწერი მაგიდა იდგა, და მიხვდა, გზა საბოლოოდ არეოდა. აქეთ ერთი-ორჯერ

ადრეც მოხვედრილა, მაგრამ მხოლოდ სხვების თანხლებით. სასონარკვეთილებისაგან, რადგან ახლომახლო ადამიანის ჭაჭანება არ იყო და მხოლოდ ზემოდან ერთმანეთში არეული ნაბიჯების ხმა ისმოდა, შორიდან კი ძლივს აღწევდა უკვე ჩამქრალი ძრავების უკანასკნელი სუნთქვა, ბევრი აღარ უფიქრია, და პირველივე პატარა კარს, რომელთანაც ამ უთავბოლო ბორიალში აღმოჩნდა, მუშტები დაუშინა.

– რა ამბავია, ღიაა, – გამოსძახა ვილაცამ შიგნიდან.

კარლმა შვევით ამოისუნთქა და კარი გამოაღო.

– რატომ აბრახუნებთ ასე თავგამეტებით? – ჰკითხა ზორბა კაცმა, როგორც კი კარლს თვალი შეავლო. უბადრუკ სენაკში, რომელშიც ილუმინატორიდან ძლივს აღწევდა გემის ზედა სართულის მბჟუტავი შუქი, ერთმანეთის გვერდით თითქოს საგულდაგულოდ ჩაეჭედათ სანოლი, კარადა, სავარძელი და კაცი.

– გზა ამებნა, – ამოთქვა კარლმა, – მგზავრობისას სულ არ შემიმჩნევია, რა უზარმაზარი გემი ყოფილა!

– დიახ, მართალი ბრძანდებით, – ერთგვარი სიამაყით უპასუხა კაცმა, თან განუწყვეტილვ უკირკიტებდა პატარა ჩემოდნის საკეტს, რომელსაც ორივე ხელით აწვებოდა და კლიტის ტკაცუნს აყურადებდა.

– შემოდით, შემოდით, – განაგრძო კაცმა, – ასე ხომ არ იდგებით!

– ხომ არ შეგანუხებთ? – ჰკითხა კარლმა.

– ოჰ, როგორ შემანუხებთ!

– გერმანელი ხართ? – გულის დასაიმედებლად ჰკითხა კარლმა, რადგან ბევრი სმენოდა იმ საფრთხეების შესახებ, ამერიკაში ახალჩასულებს რომ ემუქრებოდა, განსაკუთრებით ირლანდიელთა მხრიდან.

– დიახ, გახლავართ, – უპასუხა კაცმა.

კარლი მაინც ყოყმანობდა. უცნობი უეცრად კარის სახელურს სწვდა, კარი ჯიქურ შემოხურა და კარლიც შიგნით შეაგდო.

– ვერ ვიტან, დერეფნიდან ჩემს ოთახში რომ იყურებიან, – თქვა, თან ისევ ჩემოდანს უტრიალებდა, – ყველა გამვლელ-გამომვლელი იჭყიტება, ეს ხომ აუტანელია!

– კი მაგრამ, დერეფანი ხომ ცარიელია, – მიუგო კარლმა,

რომელიც სანოლის თავთან მიჭეჭყილი უხერხულად იდგა.

– ახლა კი, – თქვა კაცმა.

„საქმე ხომ ახლას ეხება, – გაიფიქრა კარლმა, – ამ კაცთან რთულია ლაპარაკი“.

– მოთავსდით, ღვთის გულისათვის, სანოლზე, იქ მეტი ადგილია. კარლი შეეცადა შემძვრალიყო, მაგრამ სანოლზე ახტომის პირველივე წარუმატებელ ცდაზე თავადვე გაეცინა. როგორც კი სანოლზე ასვლა მოახერხა, წამოიძახა:

– ღმერთო ჩემო, ჩემი ჩემოდანი ხომ სულ გადამავიწყდა!

– კი მაგრამ, სად არის?

– ზემოთ, გემბანზე, ერთ ნაცნობს ჩავაბარე. მოიცა, რა ჰქვია? – და საიდუმლო ჯიბიდან, რომელიც დედამ გამომგზავრებისას შარვლის სარჩულზე გამოუკერა, სავიზიტო ბარათი ამოიღო, – ბუტერბაუმი, ფრანც ბუტერბაუმი.

– ძალიან გჭირდებათ ეგ ჩემოდანი?

– ცხადია.

– მაშინ უცხო ადამიანს რატომ დაუტოვებთ?

– ქოლგა დამრჩა ქვემოთ და მის მოსატანად გავიქეცი, ჩემოდანი კი აღარ მინდოდა უკან მეთრია. მერე აქ გზა ამერია.

– მარტო ხართ? არავინ გახლავთ?

– დიახ, მარტო ვარ. „ალბათ ამ კაცს არ უნდა მოვშორდე, – გაუელვა კარლს თავში, – ამაზე უკეთეს მეგობარს სად ვიპოვი“.

– და ახლა ჩემოდანიც დაკარგეთ. ქოლგაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, – და კაცი სავარძელში ჩაჯდა, კარლის ამბავმა თითქოს ინტერესი გაუღვივა.

– მაგრამ, მე მგონი, ჩემი ჩემოდანი ჯერ დაკარგული არ უნდა იყოს.

– ნეტარ არიან მორწმუნენი, – მიუგო კაცმა და თავისი მოკლე, შავი, ხშირი თმა მაგრად მოიქეჭა, – გემზე ზნეობა ნავსადგურების მიხედვით იცვლება. ჰამბურგში ის თქვენი ბუტერბაუმი ალბათ მიგიხედავდათ ჩემოდანს, აქ კი, დაბეჯითებით შემძილია გითხრათ, ორივე უკვალოდ გაქრებოდა.

– მაშინ ახლავე უნდა ავიდე და მოვნახო, – და კარლმა გასასვლელის ძებნაში აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა.

– აქ იყავით, – საკმაოდ უხეშად ჰკრა კაცმა ხელი და ისევ სანოლზე დააგდო.

– კი მაგრამ, რატომ? – გაბრაზდა კარლი.

– რადგან ამას არავითარი აზრი არ აქვს, – უპასუხა კაცმა, – ცოტა ხანში მეც გამოვალ და ერთად წავიდეთ. ჩემოდანი ან მოპარულია, მაშინ ველარაფერს გავანყობთ, ან იმ ყმანვილმა იქვე მიატოვა, და მაშინ, რაც უფრო დაცარიელდება გემი, მით უფრო ადვილად ვიპოვით. ასევე თქვენს ქოლგასაც.

– კარგად იცნობთ გემს? – იჭვნეულად ჰკითხა კარლმა და მოეჩვენა, რომ ამ მოსაზრების მიღმა, თითქოს დაცარიელებულ გემზე უფრო ადვილად იპოვიდა თავის ნივთებს, რაც სხვა შემთხვევაში მართლაც დამაჯერებელი იქნებოდა, ამჯერად რალაც იმალებოდა.

– მე ხომ გემის ცეცხლფარეში ვარ, – თქვა კაცმა.

– გემის ცეცხლფარეში! – წამოიძახა გახარებულმა კარლმა, თითქოს ამან მის მოლოდინს გადააჭარბა, და იდაყვზე დაყრდნობილი, კაცს შეაჩერდა, – სწორედ იმ კაიუტის წინ, სლოვაკთან ერთად რომ მეძინა, ლუკი იყო, საიდანაც გემის სამანქანო ნაწილი ჩანდა.

– დიახ, იქ ვმუშაობდი, – თქვა ცეცხლფარეშმა.

– ტექნიკა ყოველთვის ძალიან მაინტერესებდა, – ფიქრებმა გაიტაცა კარლი, – და მომავალში ნამდვილად ინჟინერი გავხდებოდი, ამერიკაში იძულებითი გამომგზავრება რომ არა.

– რატომ იძულებითი?

– ეჰ, არ ღირს! – და კარლმა მთელი თავისი ისტორია ხელის გაქნევით მოიგერია. თან ცეცხლფარეშს ღიმილით შეხედა, თითქოს შეწყნარებას სთხოვდა იმის გამო, რაშიაც არ გამოსტყდომია.

– ამას ალბათ თავისი მიზეზი ჰქონდა, – თქვა ცეცხლფარეშმა და ვერ გაიგებდით, ამით ამ მიზეზის ახსნას მოელოდა თუ არა.

– ახლა შეიძლება მეც ცეცხლფარეში გავხდე, – განაგრძო კარლმა, – ჩემი მშობლებისათვის სულერთია, რა გავხდები.

– ჩემი ადგილი თავისუფლდება, – და ცეცხლფარეშმა, ამაში სრულიად დარწმუნებულმა, ხელები ჯიბეებში ჩაიყო, დაჭმუჭნილ, ტყავისმაგვარ რუხ შარვალში გამოკრული ფეხები სანოლზე აისროლა და გაიშხლართა. კარლი კიდევ უფრო მიჩოჩდა კედლისკენ.

– ტოვებთ გემს?

– დიახ, დღეს მივემგზავრები!

– კი მაგრამ, რატომ? არ მოგწონთ აქ?

– საქმე სხვაგვარადაა, ყოველთვის როდია გადამწყვეტი, მოგწონს რაიმე თუ არა. ისე, თქვენ მართალი ბრძანდებით, ეგეცაა, არ მომწონს. იმედია, ცეცხლფარეშობას სერიოზულად არ აპირებთ, მაგრამ ყველაფერზე იოლი სწორედ რომ ეგაა. გადაჭრით გეტყვით, არ გირჩევთ. თუკი ევროპაში აპირებდით სწავლას, აქ რალატომ არ უნდა ისწავლოთ? ევროპული უნივერსიტეტები ამერიკულს ხომ ვერ შეედრება.

– შესაძლებელია, – მიუგო კარლმა, – მაგრამ მე ხომ სწავლის ფული არ გამაჩნია. ვილაცის შესახებ კი წამიკითხავს, დღისით მალაზიაში მუშაობდა და ღამით სწავლობდაო, ბოლოს დოქტორი, მგონი ბურგომისტრიც გამხდარა. მაგრამ საამისოდ დიდი ნებისყოფაა საჭირო, ასე არ არის? ვეჭვობ, ეს მქონდეს. გარდა ამისა, სწავლით არ გამოვირჩეოდი, სკოლასთან გამომშვიდობება არ გამძნელებია. აქაური სკოლები კი ალბათ კიდევ უფრო მკაცრია. ინგლისური თითქმის არ ვიცი. საერთოდ, აქ უცხოელების მიმართ, ჩემი აზრით, საკმაოდ ცუდად არიან განწყობილნი.

– ეს უკვე თქვენც გამოსცადეთ, არა? კეთილი. მაშინ ჩემი მეგობარი ყოფილხართ. ხედავთ, ჩვენ ხომ გერმანულ ხომალდზე ვართ, რომელიც ჰამბურგ-ამერიკის ხაზზე დაცურავს, რატომ არ უნდა ვიყოთ აქ ყველანი გერმანელები? რატომ უნდა იყოს უფროსი მემანქანე რუმინელი? გვარად შუბალი? ეს ხომ დაუჯერებელია. და ეს არამზადად გერმანულ გემზე ჩვენ, გერმანელებს, გვჩაგრავს! არ იფიქროთ, – სულს ველარ ითქვამდა, ხელს იქნევდა, – რომ წუნუნნი მიყვარს. ვიცი, თქვენ არაფერი შეგიძლიათ, თავად ერთი საბრალო ყმანვილი ხართ. მაგრამ ეს ძალზე სანყენია! – და რამდენჯერმე მაგიდაზე მუშტი დაარტყა, ისე რომ მუშტისთვის თვალი არ მოუშორებია, – რამდენ გემზე არ მიმსახურია, – და ოცამდე სახელი ერთმანეთს ისე მიაყოლა, თითქოს ერთ სიტყვას წარმოთქვამდა, კარლი გაოგნებული შესცქეროდა, – და ყველგან გამოვირჩეოდი, მაქებდნენ, ჩემი კავიტნების მოწონებას ვიმსახურებდი, რამდენიმე წელი ერთ სავაჭრო გემზეც კი ვიმუშავე, – წამოდგა, თითქოს ეს მისი



ცხოვრების მწვერვალი ყოფილიყოს, – და აქ, ამ ჯაბახანაზე, სადაც ყველაფერს ხუთი თითივით ვიცნობ, თურმე არაფრად ვღირვარ, შუბალს ფეხებში ვებლანდები, ზარმაცი ვარ, აქედან გასაგდები, და ხელფასს მხოლოდ სამადლოდ მიხდიან. გესმით? მე ეს არ მესმის.

– ამისი უფლება არ უნდა მისცეთ, – აღელდა კარლი. მან თითქმის დაკარგა იმის შეგრძნება, რომ გემის არამყარ ნიადაგზე იმყოფებოდა, უცნობი კონტინენტის სანაპიროზე, იმდენად შინაურულად გრძობდა თავს აქ, ცეცხლფარემის სანოლზე, – იყავით უკვე კაპიტანთან? შეეცადეთ შეგეხსენებინათ თქვენი უფლებები?

– ოჰ, მომწყდით ერთი თავიდან. თქვენი დანახვა აღარ მინდა. თქვენ არ მისმენთ, რას ვამბობ, რჩევებს კი მაძლევთ. როგორ უნდა წავიდე კაპიტანთან! – და ცეცხლფარეში ისევ ჩამოჯდა და დაღლილმა თავი ხელებში ჩარგო.

„უკეთესს ვერაფერს ვურჩევ, – გაიფიქრა კარლმა, – უმჯობესია საკუთარი ჩემოდანი მოვიძებნო, ვიდრე ცეცხლფარეშს ქკუა დავაროგო, რაც მას მაინც სისულელედ მიაჩნია“. როცა კარლს მამამ ჩემოდანი სამუდამო მფლობელობაში გადასცა, ხუმრობით ჰკითხა: – რამდენ ხანს გექნება ეს? – და ახლა ეს ერთგული ჩემოდანი ალბათ უკვე დაკარგულია. ერთადერთ ნუგეშად ისლა დარჩენია, რომ მისი ახლანდელი მდგომარეობის შესახებ მამა ველარაფერს შეიტყობს, კიდევაც რომ გაიკითხოს. გემის ეკიპაჟი მხოლოდ იმას თუ დაუდასტურებს, რომ ნიუ-იორკამდე ჩამოიყვანეს. კარლს უფრო იმაზე სწყდებოდა გული, რომ ვერ მოასწრო ჩემოდანში ჩალაგებული ნივთების გამოყენება, თუმცა პერანგი კარგა ხანია გამოსაცვლელი ჰქონდა. ამრიგად, მისი მომჭირნეობა სრულიად უადგილო აღმოჩნდა: ახლა, ახალი ცხოვრების დასაწყისში, ყველაზე მეტად ესაჭიროებოდა სუფთად ჩაცმა, მას კი ჭუჭყიანი პერანგით მოუნევდა სიარული. სხვა მხრივ, ჩემოდნის დაკარგვა არ იქნებოდა დიდი უბედურება, რადგან ის კოსტიუმი, ტანზე რომ ეცვა, ბევრად სჯობდა იმას, ჩემოდანში რომ იდო; ის, შეიძლება ითქვას, სათადარიგო კოსტიუმი იყო, რომელიც დედამ გამომგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე დაუკემსა. ისიც გაახსენდა, რომ ჩემოდანში ვერონული „სალიამის“ ნაჭერიც იდო, საგანგებოდ რომ უსაგზლა დედამ და თითქმის არც კი გაუსინჯავს, რადგან მთელი გზა უმადოდ იყო

და ის სუპი იკმარა, შუა გემბანზე რომ არიგებდნენ.. ის ძეხვი რომ აქ ჰქონდეს, ცეცხლფარეშს მიაართმევდა. მამისგან იცოდა, რომ ასეთი ადამიანების გულის მოგება ადვილად შეიძლება პატარ-პატარა საჩუქრებით. მამა თავის ხელქვეითებს, რომლებთანაც საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა, სიგარებს ურიგებდა ხოლმე და ასე იგებდა მათ გულს. ახლა კარლს მხოლოდ ფულიღა დარჩა გასაცემი, მაგრამ თუ ჩემოდანი დაკარგულია, მას ჯერ ხელი არ უნდა ახლოს. ფიქრებით კვლავ ჩემოდანს დაუბრუნდა, ვერ მიმხვდარიყო, რისთვის სდარაჯობდა მთელი გზა ჩემოდანს უძილობის ფასად ასე გულმოდგინედ, თუ ასე ადვილად უნდა შელეოდა. გაახსენდა ის ხუთი ღამე, რომელთა განმავლობაში განუწყვეტლივ ეჭვობდა, რომ პატარა სლოვაკს, ორი საწოლის იქით რომ ეძინა, მის ჩემოდანზე ეჭირათვალი. თითქოს ეს სლოვაკი მიყურადებელი იყო, როდის ჩათვლემდა უძილობისგან დასუსტებული კარლი ერთი წამით, რათა თავისი გრძელი ჯოხით, რომლითაც დღისით თამაშობდა ან ვარჯიშობდა, მისი ჩემოდანი გადაეთრია. დღისით სლოვაკი სრულიად უწყინარი ჩანდა, მაგრამ როგორც კი დაღამდებოდა, წამოდგებოდა თავისი ადგილიდან და ნაღვლიანი სახით გასცქეროდა კარლის ჩემოდანს. კარლი ამას გარკვევით ხედავდა, როცა ვიღაცა ემიგრანტისათვის დამახასიათებელი მოუსვენრობით შუქს აანთებდა ხოლმე – (თუმცა გემის შინაგანანესით ეს აკრძალული იყო), – რათა ემიგრანტთა სააგენტოების გაუგებარ პროსპექტებში რაღაც ამოეკითხა. თუ ღამით ასეთი შუქი მის სიახლოვეს ანათებდა, მაშინ კარლი რამდენიმე წუთით ჩათვლემდა, მაგრამ თუ შუქი შორს იყო ან ბნელოდა, თვალი არ უნდა მოეხუჭა. ამ დაძაბულობამ საშინლად დაქანცა, ახლა კი ყოველივე ეს სრულიად ამაო გამოდგა. ო, ეს ბუტერბაუმი, ვითომ აღარსად გადაეყრება?

ამ დროს კაიუტის სრულ სიჩუმეში დერეფნის სიღრმიდან დაბალი, ხშირი ხმები შემოიჭრა, თითქოს ბავშვები მოაბიჯებენო; ხმაური მოახლოვდა, უფრო გამოიკვეთა და კაცების აუჩქარებელი ნაბიჯების ხმაში გადაიზარდა. ჩანს, დერეფნის სივინროვის გამო ერთ რიგად მოდიოდნენ და თითქოს იარაღს მოაჟღარუნებდნენ. კარლმა, როგორც იქნა, თავიდან მოიშორა უსიამოვნო ფიქრები ჩემოდანსა და სლოვაკზე, და ის იყო ჩათვლიმა, რომ უცებ წამოიმართა და